საქართველოს მთავრობის
დადგენილება

№187 2017 წლის 6 აპრილი ქ. თბილისი

„ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში (სსმ, №103, 24/08/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ“ ქვეპუნქტი:

„ლ) ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიიდან მიმდებარედ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის მიერ თუშეთის დაცულ ლანდშაფტში ხე-ტყის დამზადებისას ერთი კუბური მეტრი მერქნის მოპოვებისათვის გაწეული მომსახურების საფასურის ოდენობა.“.

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 6625
„07“ 04 2017

2. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მომსახურებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამ დადგენილებით განსაზღვრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე.“.

3. მე-5 მუხლს:

ა) დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^2 პუნქტი:

„1^2. ამ წესის №4 დანართის 5.1 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების საფასური აგრეთვე ვრცელდება ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე გაწეულ მომსახურებაზე.“;

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. ამ მუხლის 1^2 პუნქტით განსაზღვრული საფასური გადაირიცხება ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის ანგარიშზე.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი